მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ახალციხე „22“ „ივნისი“ 2018 წ

შეთანხმების მონაწილეები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106 საიდენტიფიკაციო კოდი 424066977), რექტორის, ასოც. პროფესორის, მაკა ბერიძის სახით და საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ქ. თბილისი, წერეთლის, 61 +995 35 67 56; http://gfpaa.ge), შემდგომში „ბაფ“, საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფის, ასევე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გაანალიზებისა და განზოგადების მიზნით, დებენ წინამდებარე მემორანდუმს „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ შემდეგზე:

განავითარონ ურთიერთხელსაყრელი და გრძელვადიანი თანამშრომლობა სტუდენტის ცოდნისა და პროფესიული უნარების ათვისების დარგში, რისთვისაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის IV საფეხურის პროფესიული პროგრამის „ბუღალტერი“, საბაკალავრო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ და სამაგისტრო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას „ბაფ“-ში.

- მხარეთა წარმომადგენლები წინასწარ შეათანხმებენ პროფესიული პრაქტიკის განხორციელებისათვის ყველა აუცილებელი ჩასატარებელი ღონისძიების განრიგს.
- მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების შეწყვეტის წერილობითი ფორმით სურვილის გამოთქმამდე.
- მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი,
ასოც. პროფესორი **მაკა ბერიძე**

საქართველოს პროფესიონალ
ბუღალტერთა და აუდიტორთა
ფედერაციის გამგეობის
თავმჯდომარე
ლავრენტი ჭუმბურიძე